საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 442 2017 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №390 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №390 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, 010220030.10.003.017563) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 12^1 მუხლის შესაბამისად, კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის

ხელშეწყობის მიზნით შექმნილი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - ანტიკორუფციული საბჭო) განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრი - ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

გ) საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

დ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

ე) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;

ვ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე;

ზ) საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე;

თ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

ი) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე;

კ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

ლ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;

მ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;

ნ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

ო) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;

პ) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე;

ჟ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

რ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი;

ს) საქართველოს ბიზნესომბუდსმენი;

ტ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი;

უ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;

ფ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი;

ქ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;

ღ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

ყ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე;

შ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე;

ჩ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის უფროსი;

ც) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი;

ძ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე;

წ) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე;

ჭ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი;

ხ) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი;

ჯ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი.“.

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“-„ღ“ ქვეპუნქტები:

„ს) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს;

ტ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს;

უ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს;

ფ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს;

ქ) ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს;

ღ) ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**